პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრი: დალი კალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 14 აგვისტოს N748 ბრძანების საფუძველზე (ცვლილება ბრძანება N753,16.08.2018) 2018 წლის 23 და 24 აგვისტოს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისში“, მისამართზე: ქ.თბილისი, დ.გურამიშვილის ჩიხი 9ა.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „კულინარიის ხელოვნებისა“ და „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტის)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის მიხედვით, დაწესებულებას სურს „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტის)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული 20 ადგილი გაზარდოს 40 ადგილამდე, ხოლო „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განისაზღვროს დამატებით 60 ადგილით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ახორციელებს „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დუალური მიდგომით (კვოტა 17 სტუდენტი) რომელზეც სწავლობს 10 სტუდენტი. ასევე ხორციელდება მზარეულის მეორე და მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ამჟამად სწავლობს 32 და 11 პროფესიული სტუდენტი (სულ 43 სტუდენტი). 2018 წლის საშემოდგომო მიღების სასწავლო პროცესის დასაწყისისთვის ზემოაღნიშნული სტუდენტები, რომლებიც ამჟამად იყენებენ არსებულ სასწავლო სამზარეულო სახელოსნოს, საწარმოო პრაქტიკაზე იქნებიან გასულნი. აღსანიშნავია ასევე, რომ მოხდა „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამის მოდიფიცირება, რომლის შესახებაც 2018 წლის 10 აგვისტოს N999062 წერილით ეცნობა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა მოდიფიცირებული პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტი წარიმართა ექსპერტა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით და ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა აქტივობა, გარდა სტუდენტებთან შეხვედრისა, რადგან ვიზიტის დროისათვის იყო საზაფხულო არდადეგები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან გარემოში, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა წვდომა ყველა საჭირო დოკუმენტაციაზე.

ვიზიტის ბოლო დღეს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტი და ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაცია ზეპირი ფორმით მიაწოდა დაწესებულების ადმინისტრაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე	**მუხლი 7 /**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

	პროფესიული სტუდენტებისათვის;	**პუნქტი ზ)**		
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1. რეკომენდირებულია დაწესებულების რეგულაცია ითვალისწინებდეს არასრულწლოვანი პირის კანონიერი წარმომადგენლის წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულებას (დაბადების მოწმობა ან სხვა დოკუმენტი რომელიც ადასტურებს კანონიერი წარმომადგენლობის ფაქტს)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

VII. დაწესებულების მისია

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისის“ მისია

კოლეჯის მისიაა წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით.

კოლეჯის სამი უმთავრესი ღირებულებაა:

- პროფესიონალიზმი და ხარისხის მაღალი სტანდარტი
- გუნდური მუშაობა
- ინოვაციისაკენ სწრაფვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 18 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და პროფესიული სტანდარტის მიხედვით შექმნილ 19 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები , მოცულობა (პროგრამის მოცულობა განსაზღვრულია პროფესიულ კრედიტებში და ის შეესაბამება სათანადო პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოცულობას), განსაზღვრულია მეთოდოლოგია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. ყველა წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში 1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს. შეფარდება ერთნაირია პროგრამის ყველა კომპონენტისათვის. პროგრამების ხანგრძლივობა მათი მოცულობის ადეკვატურია. კონტინგენტის გაზრდის მიზნით წარმოდგენილი პროგრამები განახლებული სახით დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ 2018 წლის 8 აგვისტოს N04-389 და 04-390 ბრძანებებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურაში მითითებულია ქართული ენის მოდულები. ამავდროულად, განსახილველად წარმოდგენილ პროგრამაში „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)“ გაკეთებულია შემდეგი ჩანაწერი: იმ სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტესტირება რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე უნდა დააგროვონ 155კრედიტი, რომელთაგან 47 კრედიტი არის ზოგადი მოდულები (მათშორის: 15 კრედიტი ქართული ენის A2 მოდული და 15 კრედიტი ქართული ენის B1მ ოდული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

ჯამში 30 კრედიტი), 108 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები. პროგრამის ხანგრძლივობაა 24 სასწავლო თვე. ხოლო პროგრამაში „კულინარიის ხელოვნება“-შესაბამისად იკითხება: იმ სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტესტირება რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე უნდა დააგროვონ 95 კრედიტი, რომელთაგან 22 კრედიტი არის ზოგადი მოდულები (მათ შორის 15 კრედიტი-ქართული ენის A2 მოდული), 18 კრედიტი არის საერთო პროფესიული/დარგობრივი.

დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს თავფურცელს, პროგრამის აღწერილობასა და დანართებს. პროგრამები აგებულია ჩარჩო დოკუმენტის თანმიმდევრული სტრუქტურის დაცვით, მათ შორის მითითებულია: პროგრამის საფეხური და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები. ასევე, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია. განცალკევებულად არის წარმოდგენილი ზოგადი მოდულები და პროფესიული სავალდებულო მოდულები.
წარმოდგენილი პროგრამების სასწავლო გეგმები შედგენილია მოდულთა დაშვების წინაპირობების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის , (არაუმეტეს 40 საათისა), დაცვით.

დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები/მემორანდუმები შემდეგ ობიექტებთან:

პროგრამისთვის :კულინარიული ხელოვნება“

1. შპს „ციტრუსი“- მემორანდუმი N 37, 31.07.2018 წ, 7(შვიდი) წლის ვადით;

პროგრამისთვის „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)“

1. შპს „სი ჯი ლებ“-მემორანდუმი N221, 05,06 2017 4 (ოთხი) წლის ვადით;
2. შპს „ვირექს იმერსივი“- მემორანდუმი N219, 23.05.2017 წ 4(ოთხი) წლის ვადით
3. შპს ‘გაზეთი საქართველოს მაცნე“ 15.08 2018 7(შვიდი) წლის ვადით;
4. შპს „პოზიტივი“ 14.082018 7(შვიდი) წლის ვადით;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- მემორანდუმებით პრაქტიკის ობიექტებთან;
- პრაქტიკის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ პრაქტიკის ობიექტებზე;

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: .

დაწესებულებაში შემუშავებულია კატალოგი, პროფესიული სტანდარტის მიხედვით შექმნილი პროგრამებისთვის და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამებისთვის ცალ-ცალკე. კატალოგები განთავსებულია ვებგვერდზე. კატალოგი პროფესიულ სტანდარტის მიხედვით შექმნილი პროგრამებისთვის მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამართლებრივი საფუძვლები,
2. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) ,
3. პროფესიული სტუდენტის შეფასება ;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი - საფეხურების, კრედიტების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მითითებით.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტისათვის კრედიტის მინიჭება;

2. .პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონთვალს. მათში თვის მხრივ მოცემულია დეტალური ინფორმაცია:

ა) მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები

ბ)პროგრამის მიზანი:

გ) დაშვების წინაპირობა/წინაპირობები;

დ) პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა;

ე)ინფორმაცია ქართული ენის არმცოდნე სტუდენტთათვის:

ორივე კატალოგში მითითებულია კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგით;
- www.mermisicollege.edu.ge

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამები: „კულინარიის ხელოვნება“ და „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)“ შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტებს. წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება; პროფესიული განათლების საფეხური; მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მოცულობა კრედიტებსა და საათებში; პროგრამის ხანგრძლივობა; სწავლების ენა; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; დასაქმების და შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა; საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი; სასწავლო გეგმა; სწავლის შდეგების მიღწევის კრიტერიუმები; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამებით: „კულინარიის ხელოვნება“ და „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)“.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს როგორც პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამებისთვის ასევე პროფესიული საგანამანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამისთვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების , შეჩერების, შეწყვეტის და მობილობით სარგებლობის წესი. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 აპრილის №04-129 ბრძანებით რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პროცედურებს; მე-5 მობილობის პროცესს და მიღებული განათლების აღიარების პროცედურას. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთან გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში, დაწესებულების რეგულაცია არ ითვალისწინებს კანონიერი წარმომადგენლის დამდგენი დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულებას, გარდა პირადობის მოწმობისა.

რეკომენდაცია: რეკომენდირებულია დაწესებულების რეგულაცია ითვალისწინებდეს არასრულწლოვანი პირის კანონიერი წარმომადგენლის წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულებას (დაბადების მოწმობა ან სხვა დოკუმენტი რომელიც ადასტურებს კანონიერი წარმომადგენლობის ფაქტს)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯის ,,მერმისის" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯის ადმინისტრაციას შემუშავებული აქვს შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა გამოყენებით უზრუნველყოფს სტუდენტთათვის სწავლის გაგრძელებას.გაფორმებული აქვს მემორანდუმები შესაბამისი პროგრამების განმახორციელებელ კოლეჯებთან.
კულინარიის ხელოვნების პროგრამისთვის-:
1.ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯთან „ჰორიზონტი“, 06.08 2018 წ. 5 (ხუთი) წლის ვადით;
2. სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“, 26.02 2016 წ უვადო;
სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)ს პროგრამისთვის:
3.სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმსციული ტექნოლოგიების აკადემია“-26.04.2017 უვადოდ;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1.სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის ,,მერმისი” სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი:

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

2.კოლეჯებთან გაფორმებული მემორანდუმებით;

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „მერმისის“ დირექტორის 2015 წლის 14 აგვისტოს №04-277 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „მერმისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“ და შეფასების კითხვარების ფორმები (პროფესიულ სტუდენტთა, პედაგოგთა, კუსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა).

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კითხვარებით;
- ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუირებით.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ მდებარეობს ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი9 ა - ში 4 სართულიან შენობაში. მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა სახელმწიფო, რომელსაც კოლეჯისთვის სარგებლობის უფლებით, კოლეჯის არსებობის ვადით გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი 5566 კვ,მ და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები, შენობა ნაგებობების საერთო ფართია 3607,383.კვ.მ,

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის ჩიხი 9ა საკადასტრო კოდი:01.12.01.004.039	3607, 383

~

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო [redacted]
- შენობის ტექნიკური პასპორტით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 8 აგვისტოს N04-389 ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი)“ და N04-390 ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნების“ მოდულებში მითითებულია მოდულის განხორციელების ადგილი (მისამართი, აუდიტორიის ნომერი, სახელოსნოს/კაბინეტის დასახელება). ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს მოდულის განხორციელების ადგილები და განსაზღვრეს, რომ მათი პარამეტრები შესაბამისობაშია სტანდარტულ მოდულების ასახულ სასწავლ გარემოს მოდელის მახასიათებლებთან.

ავტორიზაციაზე წარმოდგენილი პროგრამების განსახორციელებლად შემდეგი ფართია გათვალისწინებული:

პროგრამისთვის „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი)“

- კაბინეტი N305 B (C) გარემო – 41.81 კვ.მ, სადაც განთავსებულია 20 ერთადგილიანი მაგიდა სკამებით, 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული მასწავლებლის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი. კაბინეტში ასევე არის დაფა, მარკერით და საშლელით და მონიტორით. ექპერტთა აზრით, 2 ცვლაში შესაძლებელია 40 პროფესიული სტუდენტის მომსახურება,

პროგრამისთვის „კულინარიის ხელოვნება“ მოიცავს შემდეგ ფართებს:

2 A გარემო, 1 სასწავლო სამზარეულო სახელოსნო, მარაგების ოთახი, გასახდელი, სასადილო ოთახი. სასწავლო ფართები აღჭურვილია სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით. სადაც 2 ცვლიანი და შეჭრილი ცვლის გათვალისწინებით შესაძლებელია 60 სტუდენტის მიღება,

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, ცენტრალური გათბობა, ოთახების ნაწილში დამონტაჟებულია „ზამთარი–ზაფხულის ტიპის კონდიციონერები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით
- შესაბამის ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. დაწესებულებას აქვს წიგნადი ფონდი, როგორც ბეჭდური (99533 ეგზემპლარი), ისე ელექტრონულ მატარებლებზე;

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, ორივე პროგრამიდან შერჩევითად გადამოწმებულ იქნა მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა. შერჩეული მოდულებიდან ყველა სასწავლო სახელმძღვანელო არის ბიბლიოთეკაში, სასწავლო სახელმძღვანელოები გატარებულია საინვენტარო წიგნებში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. მოდულში მითითებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

ელექტრონული რესურსი ჩაწერილია კომპაქტ დისკებზე, რეგისტრირებულია.

ბიბლიოთეკებში არსებობს ანბანური და ელექტრონული კატალოგები.კოლეჯი ჩართულია OPEN BIBLIO–ში. კოლეჯის ბიბლიოთეკას ემსახურება დირექტორის მიერ დანიშნული ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში არის 8-კომპიუტერი, 1 ბიბლიოთეკარისთვის და 7 ბიბლიოთეკის მომხმარებელთათვის.კომბაინი(ასლგადამღები, პრინტერი,სკანერი)

ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

დასტურდება:

- სასწავლო კურსების მოდულებით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით;
- საინვენტარო წიგნით;
- საბიბლიოთეკო რესურსების ვიზუალური დათვალიერებით;
- ვებ გვერდით-www.mermisicollege.edu.ge

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ბალანსზე ირიცხება 248 კომპიუტერი, 135 ნოუთბუქი, 41 პრინტერი, 1 ქსეროქსი და 27 პროექტორი. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ინტერნეტით წვდომა, კოლეჯის ადმინისტრაცია დაწესებულების მართვაში იყენებს 28 კომპიუტერს, 17 ნოუთბუქს, 21 პრინტერს და 1 ქსეროქსს. კონტინგენტის გაზრდის მიზნით წარმოდგენილ პროგრამებზე დაწესებულება სტუდენტებისთვის იყენებს 60 კომპიუტერს სტუდენტებისთვის და 6 კომპიუტერს პროფესიული მასწავლებლებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების ბალანსით
- შესყიდვის დოკუმენტაციით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში გამოცემული სამართლებრივი აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის 2014 წლის 25 ივნისის N04-17 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად. აქტების აღრიცხვა ხდება შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც დანომრილია დალუქულია, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია დირექტორის მიერ. კორესპოდენციის აღრიცხვა 2014 წლის 7 მარტიდან ხორციელდება საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა eflow-ს მეშვეობით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

დირექტორის ბრძანებით
სამართლებრივი აქტების სარეგისტრაციო ჟურნალით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა)სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „მერმისის“ **ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები** შემუშავებულია საქართველოს კანონის „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ და „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 27 მარტის №449 ბრძანების საფუძველზე.

კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება. კოლეჯი ასევე აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცეცხლმაქრები.

ბ)სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისის“ **სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები,** განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის წესებსა და პროცედურებს:

კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის მიერ დანიშნული თანამშრომელი - მედდა. მედდა უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი ზომების გატარებას.

კოლეჯი უზრუნველყოფს სამედიცინო ოთახის აღჭურვას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მედიკამენტებით. მედიკამენტების ვარგისიანობის (ვადა, შენახვისათვის დადგენილი წესების დაცვა და ა.შ) შემოწმების კონტროლს ახორციელებს კოლეჯის მედდა. კოლეჯის ყველა აუდიტორიაში და სასწავლო სახელოსნოში, პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულ პირთათვის თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია კოლეჯის მედდის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. სატელეფონო შეტყობინებას პროფესიული სტუდენტის შეუძლოდ ყოფნის თაობაზე ახორციელებს აუდიტორიაში მყოფი მასწავლებელი ან მისი დავალებით რომელიმე სტუდენტი. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება მედდის კომპეტენციის ფარგლებს, მის მიერ გამოძახებული იქნება სასწარაფო სამედიცინო დახმარება.

გ) წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი. კოლეჯი აყვანილი არის ცენტრალური დაცვის პულტზე და დაყენებული ცენტრალური დაცვის მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსათვალთვალო კამერებით, შენობასა და ეზოში. დამონტაჟებულია 25 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერა, (მათ შორის 8 ერთეული - გარე გამოყენების და 17 ერთეული შიდა გამოყენების). კოლეჯის პირველ სართულზე დამონტაჟებულია ტურნიკეტი, რომელიც ახდენს თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა იდენტიფიცირებას, რაც გამორიცხავს კოლეჯში უცხო პირთა შეღწევას. კოლეჯში დასაქმებულ პირებსა და პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ელექტრონული დაშვების პლასტიკური ბარათები, რის საშუალებითაც ფიქსირდება კოლეჯში მათი შესვლისა და გასვლის დრო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „მერმისის' დირექტორის ბრძანება N 04-09 15.06 2014
- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის ,,მერმისი" წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ.

ვებ-გვერდი: www.mermisicollege.edu.ge

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის -დამონტაჟებულია ლიფტი, არის ეზოდან შენობაში შესასვლელი პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები ოთხივე სართულზე. მოწყობილია ტაქტილური იატაკი მხედველობა დაქვეითებულთა და უსინათლო პირთათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ვებგვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის ისტორიისა და განვითარების, კოლეჯის სტრუქტურის, საკონტაქტო ინფორმაციის, ადმინისტრაციისა და პედაგოგიური რესურსების შესახებ, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, კოლეჯში ჩარიცხული სტუდენტების, ცხრილების, მიმდინარე გამოცდების, პარტნიორების, ღონისძიებების, სამართლებრივი აქტების და სხვ. შესახებ. აგრეთვე განთავსებულია პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები, გალერეა, სასარგებლო ბმულები. ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდით – http://www.mermisicollege.edu.ge/

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

ერთწლიანი (2018 წ.) სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას, კოლეჯის ორგანიზაციული და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, კოლეჯის ინფრასტრუქტურის, პროფესიული სწავლების ხარისხის, პროფორიენტაციის და სოციალური პარტნიორობის გაუმჯობესების სამუშაოების ჩატარებას.

ექვსწლიან გეგმაში მოცემულია გასული წლების კოლეჯის შიდა და გარე საქმიანობის ანალიზი, ნაჩვენებია სუსტი და ძლიერი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, ძირითადი ტენდენციები, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბებულია განვითარების სტრატეგია და ცალკეული ღონისძიებები სტრატეგიის შესასრულებლად, მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასანერგად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განვითარების ერთწლიანი სამოქმედო და გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმებით ,დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისის' სამეთვალყურეო საბჭოს N2 სხდომის ოქმით, 23.02 .2018

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საზოგადოებრივ კოლეჯში საშტატო და შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობების დასახელებები და რაოდენობა დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან და შედგება 38 საშტატო და 95 შტატგარეშე თანამშრომლისგან. საშტატო თანამდებობებია - დირექცია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე. ადმინისტრაცია: ფინანსური მენეჯერი, მთავარი ბუღალტერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, შესყიდვების სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, იურისტი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი, ქსელის ადმინისტრატორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ლოჯისტიკის სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი, არქივარიუსი, პოლიგრაფიული კორპუსის ადმინისტრატორი, ქსელის ადმინისტრატორის ასისტენტი. დამხმარე და მომსახურე პერცონალი: მედდა, მძღოლი, დამხმარე თანამშრომელი (4), დარაჯი (6), დამლაგებელი (5), მეეზოვე (1)შტატგარეშე თანამდებობებია: ინკლუზიური პროფესიული განათლების კოორდინატორი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სსსმ პირის ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, პედაგოგი (90) დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „მერმისის“ წესდებით;*
- *საშტატო/არასაშტატო განრიგით;*
- *პერსონალის პირადი საქმეებით;*
- *ინტერვიუირებით.*

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „მერმისის“ რეესტრის მიხედვით პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 69, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაა 454

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 15 პირი, ხოლო „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)“ პროგრამაში - 12 პირი. პირადი საქმეების შესწავლამ და ინტერვიუირებამ აჩვენა, რომ ყველა მათგანის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, პროგრამებზე ზღვრული რაოდენობის 40-ით და 60-ით განსაზღვრის შემთხვევაში თანაფარდობები იქნება 3-4 პროფესიულ სტუდენტზე 1 პროფესიული მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით
- პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიუირებით.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების შინაგანაწესის შესაბამისად. კერძოდ, პირი სამსახურში მიიღება პირადი განცხადებისა და დირექტორის ბრძანების/ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობით, შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა და დასაქმებულთა თანამდებობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით/კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომლითაც დასტურდება კოლეჯის ნება პირის სამუშაოზე მიღების შესახებ. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“დადგენილი წესით. შინაგანაწესი მოიცავს სამუშაო ადგილს, სამუშაო დროს და დასვენების დროს, სამუშაო დროის აღრიცხვას, ზეგანაკვეთურ სამუშაოს, დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობის გამონაკლის შემთხვევებს, არასამუშაო დროს სამუშაო ადგილზე ყოფნის პირობებს და სხვ. პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე, პირადი საქმეები იყო სრულყოფილი შინაგანაწესის შესაბამისად და მოიცავს ა) CV, ან ავტობიოგრაფია (ქართულ ენაზე); ბ)განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პასპორტი) ასლი; დ) ფოტოსურათი, ¾-ზე 2 ცალი; ე) სამუშაო გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში); ვ) ინფორმაცია საბანკო რეკვიზიტების შესახებ; ზ) დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (მოთხოვნის ან დასაქმებულის სურვილის შემთხვევაში); თ) სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტი დამსაქმებლის მოთხოვნის ან დასაქმებულის სურვილის შემთხვევაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით
- პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიუირებით.
-

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
[ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	რედიტების რაოდენობა მოდულურ პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	რედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	კულინარიის ხელოვნება	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 010465	85	100	ქართული	ქ თბილისი გურამიშვილის ჩიხი 9 ა	10	60
2	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)	მეოთხე	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040164	125	155	ქართული	ქ თბილისი გურამიშვილის ჩიხი 9 ა	14	40

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

31.08.2018
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: